ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 01
CPV: 79713000 - დაცვის მომსახურება

თბილისი **14 იანვარი, 2021 წელი**

ერთის მხრივ - **სსიპ - ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი** (შემდგომში - შემსყიდველი), დირექტორის **კონსტანტინე ქარქაშაძის** სახით და მეორეს მხრივ - **შპს უშიშროების სამსახური „იმედი“** (შემდგომში - მიმწოდებელი), გენერალური დირექტორის **ბესარიონ ხუბუას** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია - **დაცვის მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვა, **სსიპ - ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის** სახსრებით;

1.2. შესყიდვის ობიექტია - სსიპ - ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის დაცვის მომსახურება, რომელიც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, ცოცხალი ძალით, სპეციალური უნიფორმით და ეკიპირებით, კვალიფიციური და სათანადო გამოცდილების მქონე 6-კაციანი ძირითადი შემადგენლობით, (25-დან 60 წლამდე), ცვლაში არანაკლებ 2 კაცისა, 24-საათიანი გრაფიკით (სამუშაო, უქმე და სადღესასწაულო დღეების ჩათვლით). ხელშეკრულების გაფორმებიდან (ერთი) თვის მანძილზე - 2021 წლის 14 თებერვლის ჩათვლით.

1.3. დაცვის მომსახურება მოიცავს:

- ეზოს პერიმეტრის, სამშენებლო მოედნისა და მასზე განთავსებული ფასეულობის, შენობისა და შენობის შიგნით განთავსებული მატერიალური ფასეულობების უსაფრთხოების, მოვლა-შენახვისა და დაცვის უზრუნველყოფა, ყველა აუცილებელი და შესაძლო ზომის გამოყენება მათი დაზიანების/განადგურების, დანაკარგის თავიდან ასაცილებლად;

- ობიექტზე შემომსვლელ და გამსვლელ პირთა ვინაობის, მატერიალური ფასეულობების გატანა-შემოტანაზე კონტროლი;

- სახანძრო, ავარიული და სხვა საგანგებო მდგომარეობის შექმნისას შემსყიდველის ხელმძღვანელობის დაუყოვნებლივ ინფორმირება, ხოლო აუცილებლობისას ამ უკანასკნელთან შეთანხმებით საგანგებო სიტუაციების, სამედიცინო ან საპოლიციო სამსახურების გამოძახება;

- დაცვის თანამშრომლებზე მინდობილი საკეტების, გასაღებების დაცულობა და ობიექტის სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. დაცვის მომსახურების (შესყიდვის ობიექტის) სახელშეკრულებო ღირებულება არის **2 254** (ორი ათას ორასორმოცდათოთხმეტი) ლარი და **50** თეთრი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით;

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. მომსახურების გაწევის ადგილია - თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 136;

4.2. მომსახურების გაწევის ვადაა -ხელშეკრულების გაფორმებიდან (ერთი) თვის მანძილზე - 2021 წლის 14 თებერვლის ჩათვლით.

4.3. მომსახურების მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. დაცვის მომსახურების (შესყიდვის ობიექტის) მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან, ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირებაზე უფლებამოსილი პირია **ნერონ აბულაძე,** რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობისას), წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და იკისროს შესაბამისი პასუხისმგებლობა;

7.1.2. ობიექტზე ზარალის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს და უზრუნველყოს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა;

7.1.3. იკისროს პასუხისმგებლობა იმ ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია მიმწოდებლის ვალდებულებების არაჯეროვანმა შესრულებამ და არა შემსყიდველის დაუდევრობამ.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. ობიექტის დაცვის მომსახურების ინსპექტირებაზე გამოყოს პასუხისმგებელი პირი და გადასცეს მას ამისათვის საჭირო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უფლება;

7.2.2. საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს მისცეს დასაცავი ობიექტის გახსნისა და დათვალიერების საშუალება;

7.2.3. უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, ობიექტზე მინიჭებული პირობითი ნომერი;

7.2.5. წინამდებარე ხელშეკრულების 7.1.1 პუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენს მიმწოდებლის საკუთრებას და დროებით სარგებლობაში უსასაყიდლოდ არის გადაცემული შემსყიდველისათვის) განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი;

7.2.6. არ დაუშვას შემსრულებლის მიერ დამონტაჟებული აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება მიმწოდებლის სათანადო წარმომადგენლის გარეშე;

7.2.7. რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს.

7.2.8. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.05%-ს.

8.6. იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან და **მოქმედებს 2021 წლის 15 მარტამდე**.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით

აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზებს.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ობიექტის მოკვლევის აქტი;

14.2. მიმწოდებელი მატერიალურ პასუხისმგებლობას იხსნის თუ შემსყიდველი არ განახორციელებს მოკვლევის აქტში მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკომენდაციების შესრულებას;

14.3. ასეთ შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მხარეთა მიერ შედგენილი დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი;

14.5. ზიანის დადასტურების შემთხვევაში შემსყიდველმა 7.2.6 პუნქტში მითითებული თანხის გადახდა უზრუნველყოფს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

14.6. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას, მხარეები ათი დღით ადრე წერილობით აცნობებენ ერთმანეთს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

14.7. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ერთი თვის სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

14.8. მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება დაცვის მომსახურების ტარიფის ცვლილებების შესახებ, რომელიც წერილობით ეცნობება შემსყიდველს ერთი თვით ადრე;

14.9. მიმწოდებელი ობიექტის დაცვის მომსახურეობის შეწყვეტიდან არაუმეტეს 7 სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელებს 7.1.1 პუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენს მიმწოდებლის საკუთრებას და დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ არის გადაცემული შემსყიდველისათვის) შემოწმებას და დემონტაჟს;

14.10. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.11. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.12. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორ) ეგზემპლარად, დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერებით, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.13. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - ქ.თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის	**შპს უშიშროების სამსახური „იმედი“**
თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი	ს/ნ 205240194
ს/ნ 202056531	თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა N100
თბილისი, აღმაშენებლის გამზ.N136	ს/ს „თიბისი ბანკი”
სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი - TBCBGE22
კოდი TRESGE22;	
ანგ.N 708237177	ა/ა N GE66TB1126436020100005
დირექტორი კონსტანტინე ქარქაშაძე	**გენ. დირექტორი ბესარიონ ხუბუა**

LTD Security Service Imedi

Digitally signed by LTD Security Service Imedi
Date: 2021.01.14 12:13:36 +04'00'